ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

25 აპრილი

2023 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N3

სამტრედია 25 აპრილი. 2023 წელი.

მიმდინარე წლის 25 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, გივი ჯულაყიძე, ემზარ შუბლაძე ვალერიანე ფოცხვერია, ზაზა ადეიშვილი, მანანა სირბილაძე, პაატა კოხრეიძე, ქეთევან კუტალაძე, ჯონი ახობაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკისა და ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 34.07.42.364) და 1000 კგ(სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ“ განკარგულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

2. ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. ,,სილქნეტი“_ს (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978) სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ“ განკარულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

3. ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 34.05.43.175) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანმხობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ“ განკარგულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით, კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი (10) ხმით იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 34.07.42.364) და 1000 კგ(სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ“ განკარგულება.

ტარიელ ცომაია - კერძოდ,

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.364) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.364) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.364) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 3600 (სამიათას ექვსასი) ლარი.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.364) ბიჯი განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე 236.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.42.364) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 2500 (ორიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

1.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2.1. 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართი განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

2.2. 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2.3. 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 5800 (ხუთიათას რვაასი) ლარი (ერთი კილოგრამი შავი მეტალის ჯართის საწყისი ფასი 0,58 (ორმოცდათვრამეტი თეთრი) ლარი).

2.4. ელექტრონულ აუქციონზე 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის ბიჯი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2.5. ელექტრონულ აუქციონზე 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის საგარანტიო თანხა განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით.

2.6. შავი მეტალის ჯართის წონა არის სავარუდო, მყიდველი ვალდებულია ქონების მიღებამდე მოახდინოს მისი გადაწონვა მერიის წარმომადგენლის თანდასწრებით, რის შემდეგაც განხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება.

2.7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება საკითხის გატანას ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. ,,სილქნეტი“_ს (საიდენტიფიკაციო კოდი- 204566978) სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ“ განკარულება.

1.1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი (დანართი №1) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადასცეს ს.ს ,,სილქნეტს" (საიდენტიფიკაციო კოდი- 204566978).

1.2. ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობის ვადად განისაზღვროს 05 (ხუთი) წელი.

1.3. ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობის წლიურ საფასურად განისაზღვროს 4404 (ოთხიათასოთხასოთხი) ლარი (05 წლის სარგებლობის საფასური 22020 (ოცდაორიათასოცი) ლარი).

1.4. ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობისათვის საფასური განაწილდება ყოველ თვეზე და გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

1.5. ს.ს ,,სილქნეტს" ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი (დანართი №1) გადაეცემა მათზე ინტერნეტ–სადენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის.

1.6. ს.ს ,,სილქნეტი" ვალდებულია ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემ ბოძზე (დანართი №1) ინტერნეტ–სადენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსებით არ შეზღუდოს ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) ელექტროგადამცემ ბოძებად გამოყენება.

1.7. სამტრედიის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ზემოაღნიშნული ქალაქ სამტრედიაში მდებარე 367 (სამასსამოცდაშვიდი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი (დანართი №1) სარგებლობაში გადასცეს ასევე სხვა პირს.

მანანა სირბილაძე - ვეთანხმები. უბრალოდ, სამომავლოდ მოხდეს გათვალისწინება იმისა, რომ ხელშეკრულებაში მითითებულ იქნას ფასთაცვლილების შესახებ, რათა საჭიროების შემთხვევაში გაიზარდოს ღირებულება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 34.05.43.175) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანმხობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ“ განკარგულება.

ტარიელ ცომაია - მოგახსენებთ, რომ მივიღეთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-622311490 წერილობითი მომართვა, რომლის საფუძველზეც ზემოაღნიშნული განკარგულების განხილვა უნდა შევაჩეროთ.

წერილობითი მომართვიდან ირკვევა,რომ თამაზ შანიძემ 2023 წლის 07 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა განცხადებით, რომლითაც მოითხოვა მისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო

კოდი №34.05.43.175) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის პროცესის შეწყვეტა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: **/ტარიელ ცომაია/**

სხდომის მდივანი: **/ნათია დოლიძე/**